წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 19

ქ. წალენჯიხა

2022 წლის 12 დეკემბერი

2022 წლის 12 დეკემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 12^{30} საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, ნანა ლემონჯავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია) წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: **თეა სარია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ მართებულად და სწორად მიაჩნია ბიუჯეტის ცვლილების კენჭისყრა მუხლობრივად მოხდეს, პროცედურულადაც უფრო ხელსაყრელია და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს, რასაც საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ უპასუხა, რომ ბიუჯეტის, როგორც ნორმატიული აქტის, სტრუქტურიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიაჩნია ბიუჯეტის ცალ-ცალკე მუხლობრივად კენჭისყრა.

მოისმინეს: 1. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის თაობაზე ნორმატიულ აქტში ცვლილების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2022 წელს პროგნოზირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის გაზრდით (215.0 ათასი ლარი). საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ" შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად გამოყოფილი თანხა , რომელიც ასახული იყო ბიუჯეტის შემოსულობების მიზნობრივი ტრანსფერის მუხლში შემცირდა 18,4 ათასი ლარით, ასევე ბიუჯეტის სხვა შემოსულობებში 7,0 ათასი ლარით გაიზარდა შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის N1692 განკარგულების საფუძველზე განხორციელდა ნაშთის ცვლილება და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის 55,8 ათასი ლარი აისახა ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების მუხლში.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით თუ რამ გამოიწვია ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსების პროგრამიდან 10 ათასი ლარის ეკონომია. რასაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ დაახლოებით 9 თვე პროგრამული ხარვეზის გამო ვერ ხორციელდებოდა თანხის გაცემა, მიმდინარეობდა სიების დაზუსტება. სწორედ ამის საფუძველზე მოხდა ეკონომია ამ პროგრამიდან.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარემ მაია მიქავამ აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამებიდან მორჩენილი თანხები სხვადასხვა მუხლებში ნაწილდება , მაშინ როცა მუნიციპალიტეტში მძიმე და გაუსაძლისი პირობების მქონე არაერთი ოჯახია და არაერთხელ მოუმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის დახმარებისთვის. მერიის სოციალურმა კომისიამ 13 ოჯახის სოცალური მდგომარეობა შეისწავლა ადგილზე, მათი მდგომარეობა გაუსაძლისია. მუნიციპალიტეტის მერიამ აქედან მხოლოდ 2 ოჯახი დააკმაყოფილა და 11 ოჯახი დარჩა დახმარების გარეშე. მან აღნიშნა, რომ სრულიად გაუმართლებლად და მიუღებელად მიაჩნია მორჩენილი ეკონომიის თანხა (30 ათასი ლარი) სტადიონებზე და მსგავს მეორეხარისხოვან საჭიროებებზე გადატანა, ეს საკითხები უნდა იქნეს საფუძვლიანად შესწავლილი და უნდა მოხდეს თანხის სწორი გადანაწილება. ასევე მ. მიქავამ მომხსენებელს მიმართა კითხვით, თუ სად იქნება მიმართული სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის მუხლში დამატებული (142,0 ათასი ლარი) თანხები. მომხსენებელმა თეა სარიამ უპასუხა, რომ აღნიშნული თანხა მიმართული იქნება ქ.წალენჯიხა მეუნარგიას ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის , ქ.ჯვარში სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის და ქ. წალენჯიხაში ჭადრაკის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის. აღნიშნულს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი ბესიკ ფარცვანია და აღნიშნა, იყო თუ არა ტენდერი გამოცხადებული აღნიშნულ პროექტებზე და თუ ვალდებულების შესრულება ვერ მოესწრო მიმდინარე წელს, იმ შემთხვევაში სად იქნება თანხა მიმართული , რასაც მომხსენებელმა უპასუხა რომ აღნიშნული თანხა ნაშთში დარჩება და გადავა იგივე დანიშნულებით 2023 წლისთვის.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია გამოეხმაურა მაია მიქავას წინადადებას და აღნიშნა, რომ წელს მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა საპილოტე იყო, გაცემის წესში არ არის გაწერილი ბევრი ნიუანსი, რაც პრობლემებს უქმნის კომისიას, მერიასთან ერთად უნდა შევეცადოთ მომავალი წლისთვის გაცემის წესი ამ მიმართულებით უფრო დაკონკრეტდეს და დაფინანსების თანხაც გაიზარდოს.

საკრებულოს წევრმა დათო მესხიამ შენიშნა, რომ უკანა პლანზე გადაიწია ინფრასტრუქტურულმა პროექტებზე მუშაობამ, მაშინ როცა ამ მიმართულებით თანხა იყო ბიუჯეტში. აღნიშნულს გამოეხმაურა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, რომელმაც აღნიშნა, რომ ამის მიზეზი საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაუზუსტებლობა იყო.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ საკითხი მოუმზადებლად ჩათვალა. აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის პროექტს აუცილებლად უნდა მოყვებოდეს განმარტებითი ბარათი, რათა ერკვეს საკრებულო თუ რამ გამოიწვია და რა ცვლილებები შედის დადგენილებაში, მან ასე ნაჩქარევად ამ საკითხის მიღება არასწორი მიიჩნია.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ აღნიშნა ,რომ „ფორმულა ჯგუფმა" ქ. ჯვარში დაახლოებით 900 ათასი ლარის სამუშაოები ჩაატარა სრულიად უსასყიდლოდ. ჩვენი თანადაფინანსების წილი მინიმალურია აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი (კორნელი სალია, ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, ნანა ლომინჯავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია) წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N38.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია